გისენის (გერმანია) უნივერსიტეტის სტიპენდიები თსუ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისთვის

თსუ-ს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი აცხადებს კონკურსს 2015/2016 წლის შემოდგომის ან 2016 წლის გაზაფხულის სემესტრისათვის გისენის იუსტუს-ლიბიგის სახელობის უნივერსიტეტში ერთსემესტრიანი სასწავლო სტიპენდიის მოსაპოვებლად.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ თსუ-ს იურიდიული, ეკონომიკისა და ბიზნესის და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის, ინფორმატიკის, ფიზიკის, გეოგრაფიის, აგრარული მეცნიერებების, ეკოტროპოლოგიისა და გარემოს მენეჯმენტის ბაკალავრიატის III, IV, V სემესტრის და მაგისტრატურის I სემესტრის სტუდენტებს.

შესარჩევი კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად:
<u>I ეტაპი – გერმანული ენის ტესტი (B2 დონე);</u>
<u>II ეტაპი – გასაუბრება</u>

კონკურსის I ეტაპი (ტესტირება) გაიმართება 2014 წლის 26 ნოემბერს,
საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში (უნივერსიტეტის ქ.#11)
<u>აუცილებლად იქონიეთ თან პირადობის მოწმობა!</u>

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა სააპლიკაციო დოკუმენტების მიღება წარმოებს ელექტრონულად, შემდეგი ვებ-გვერდის საშუალებით:

http://dfronline.tsu.edu.ge/

კონკურსზე ელექტრონულად დარეგისტრირების ბოლო ვადაა: **<u>2014 წლის 21 ნოემბერი, 18 საათი</u>**

სავალდებულო დოკუმენტების ჩამონათვალი:

- CV - გერმანულ ენაზე
- მოტივაციის წერილი - გერმანულ ენაზე
- რეკომენდაციის წერილი - ქართულ და გერმანულ ენაზე (რეკომენდატორის ხელმოწერით და ფაკულტეტის ბეჭდით დამოწმებული)
- ნიშნების ამონაწერი ფაკულტეტის დეკანატიდან - ქართულ ენაზე
- ბაკალავრიატში ან მაგისტრატურაში სწავლის დამადასტურებელი ცნობა ფაკულტეტის დეკანატიდან - ქართულ ენაზე
- დიპლომის და დიპლომის დანართის ასლი (**ბაკალავრებმა** ატვირთონ კიდევ ერთხელ ნიშნების ფურცელი)
- პასპორტის ასლი

<u>რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ მოქმედი თსუ ელ-ფოსტის მისამართით!</u>

თსუ ელ-ფოსტის მისამართთან ან პაროლთან დაკავშირებული პრობლემების შემთხვევაში მიმართეთ ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ოპერაციების მართვის დეპარტამენტს!

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ: ირინა გამყრელიძეს (irina.gamkrelidze@tsu.ge)

<u>კონკურსზე არ დაიშვებიან 2014/2015 სასწავლო წლის გისენის კონკურსის გამარჯვებულები!</u>